დასაქმების მინისტრის აპარატი საგარეო ვალიდან ფინანსდება

გაზეთი "ახალი თაობა" – 27 ივლისი, № 177, 2012

მთავრობაში დასაქმების სახელმწიფო მინისტრის პოსტიც შეიქმნა, თუმცა დასაქმების მინისტრის რეალური ნაბიჯი არავის უნახავს.

რამდენად ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებს ხელისუფლება, გაამართლებს თუ არა დასაქმების სახელმწიფო მინისტრის დანიშვნა და არის თუ არა ეს რეალურად უმუშევრობის დაძლევის წინაპირობა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, შეაფასეთ ხელისუფლების ნაბიჯები სტიქიით დაზარალებული რეგიონებთან მიმართებაში და რას იტყვით ბიძინა ივანიშვილის მიერ ჯერ 10, შემდეგ კი 80 მლნ ლარის ჩარიცხვაზე დაზარალებულთა დასახმარებლად. ხელისუფლება აცხადებს, ბიუჯეტში შესული ფული როგორ განაწილდება, ეს მხოლოდ ხელისუფლების საქმეაო.

– ფორმალურად ხელისუფლების პასუხი სწორეა. თუმცა იმავდროულად არ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაა მცდარი. მის მიერ არ აღიარებული ჯარიმის ანგარიშზე გადარიცხული 80 მლნ ლარი ბიუჯეტისათვის დამატებითი შემოსულობაა, რაც ხელისუფლებას არსებითად უმსუბუქებს დაზარალებულთა დახმარებას. პრაქტიკულად ამ თანხის ჩარიცხვით ბატონმა ივანიშვილმა ბიუჯეტში გააჩინა თანხა, რითაც უნტკივნეულოდ უნდა შეძლოს მთავრობამ დაზარალებულთა დახმარება.

– ფაქტია, წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ აქტიური პაექრობა მიდის ხელისუფლებასა და „ქართულ ოცნებას" შორის პროგრამების დომეზე. სოფლის მეურნეობაში 4 მლრდ ლარის ჩადების დაპირებით ვანო მერაბიშვიკლმა ივანიშვილის მოუჯოკრა, რომელმაც 1 მლრდ ლარის ჩადების პირბა დადო?

– ვერ მოუჯოკრა. საქმე ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში 4 მლრდ ლარი ჩაიდება 4 წლის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ 4 წლის განმავლობაში თუ ჩაიდება ეს თანხა, წელიწადში ხელისუფლებაც 1 მლრდ ლარის ჩადებას გეგმავს. ანუ მერაბიშვილმაც ზუსტად იგივე თქვა, რაც ბიძინა ივანიშვილს აქვს

მანამდე ნათქვამი. ივანიშვილმა თქვა, საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ, ზუსტად იგივეს იძახის მერაბიშვილი. განსხვავება არის პენსიებში. ივანიშვილთან ჟღერს, რომ პენსია საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს, და საარსებო მინიმუმი კი არა 150 ლარი, არამედ 220 ლარია, მაშინ როცა ვანო მერაბიშვილი აგრძელებს ძველ "სიმღერას" და ე.წ. პროგრამაში უწერია, რომ 2013 წლიდან პენსია კი არა საპენსიო პაკეტი გახდება 100 დოლარის ეკვივალენტური. საპენსიო პაკეტი ვაუჩერებსაც მოიცავს, დაზღვევასაც მოიცავს. ერთია საპენსიო პაკეტი და მეორეა პენსია. მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილ ე.წ. პროგრამაში ეს ყველაფერი არეულია.

– იმ ფინანსურ სახსრებს, რომელზეც ხელისუფლების პროგრამაშია საუბარი, ქვეყნის ბიუჯეტი გაუძლებს?

– ესენი ასე ანგარიშობენ, 4 წელიწადში ბიუჯეტი მიაღწევს 40 მლრდ ლარსო. ანუ ჯამურად მომავალი 4 წლის ბიუჯეტი ხელისუფლების გათვლებით არის 40 მლრდ ლარი. საშუალოდ ნიშნავს, რომ წელიწადში ბიუჯეტი არის 10 მლრდ ლარი. წელს ჩვენ გვაქვს 8 მლრდ-იანი ბიუჯეტი. ეს ნიშნავს, რომ 2013 წელს ბიუჯეტი უნდა იყოს 9 მლრდ ლარი, შემდეგ წელს – 10 მლრდ, შემდგომში 11 მლრდ და ა.შ. ანუ მეოთხე წელს ჩვენი ბიუჯეტი უნდა იყოს 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე დღეს არის. ეს ნიშნავს შემდეგ რამეს: 4 წელიწადში ბიუჯეტის 50%-იანი ზრდა თუ არა ინფლაციური კომპონენტის გამოყენებით, უბრალოდ შეუძლებელია. მაღალი ინფლაციისას ფასები იზრდება, გაზრდილ ფასს, რომ გადასახადის იგივე საპროცენტო განაკვეთს დაარიცხავ, ბიუჯეტში მეტი ფული შეგივა ანუ ეს დაპირება, სამწუხაროდ, ინფლაციაზეა გათვლილი.

– ძალიან საინტერესოა საიდან გეგმავს ხელისუფლება ამ დაპირებლი თანხების ხარჯვას. ხელისუფსლებისგან იყო მინიშნება, რომ ამ თანხებს ხელისუფლება საგარეო ვალების მომსახურებიდან აიღებს.

– რამდენადაც ვიცი, საგარეო ვალებიდან მოხდა დაფინანსება დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის. დანარჩენი საგარეო ვალებიდან წარმოუდგენელია ამ თანხების მოძიება.

– „ახლები" ფიქრობენ, რომ ივანიშვილი პირადი სახსრებიდან ჰპირდება მოსახლეობას სოფლის მეურნეობის და სხვა პროექტების დაფინანსებას, კერძო თანხები კი სახელმწიფოს მართვაში არ უნდა მონაწილეობდესო...

– დიდი ბოდიში, „ახლები" რას ფიქრობენ, ნეტა ვინმეს თუ აინტერესებს?! მას შემდეგ, რაც „ახლები" ნაციონალურ მოძრაობას გაურიგდნენ, მე ვფიქრობ, საინტერესო და სერიოზულად აღსაქმელი ძალა აღარ არის. ივანიშვილს

საკმაოდ კარგად აქვს გამიჯნული თავის ჯიბე, სახელმწიფოს ჯიბისაგან. ივანიშვილმა რაც გააკეთა, გააკეთა თავის ჯიბით. რასაც აკეთებს დღეს იმისთვის, რომ მსოფლიოს თვალი აუხილოს, რამდენად დემოკრატიულია ჩვენი მმართველობა, ამას აკეთებს თავის ჯიბიდან. ხოლო, როცა ის ლაპარაკობს, ბიუჯეტში იქნება მლრდ ლარიო, ის ლაპარაკობს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

– დასაქმების სახელმწიფო მინისტრზე რას იტყვით? ფაქტია, სააკაშვილმა ის პიროვნება დააწინაურა და მთავრობაში მოიყვანა, ვინც ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობა ააშენა. ახალი მინისტრისგან ჯერ არაფერი თქმულა, არც რაიმე ნაბიჯი გადაუდგამს.

– დააწინაურა, ის პიროვნება, რომელსაც ჰქვია ბიზნესმენი, მაგრამ მის საქმიანობას ბიზნესი არ ჰქვია, გარანტირებული სახელმწიფო შესყიდვები ანუ ხელისუფლების გაგრძელება, კორუფციული სქემა.

– ანუ ამ საკადრო ცვლილებით პრეზიდენტმა დაამტკიცა, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფციაა?

– რა თქმა უნდა. კარგად ვიცით, ვინ იგებს სახელმწიფო შესყიდვებში ტენდერებს.

– დასაქმების სამინისტროს შექმნა აუცილებელი იყო, სჭირდება ეს ქვეყანას?

– ასეთი სტრუქტურა აუცილებელია. ჩვენ რეალურად დღევანდელ მთავრობაშიც გვაქვს ასეთი უწყება, რომელიც შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროშია მოქცეული. მაგრამ ეს სამინისტრო რასაც აკეთებდა, ვიცით, ყოველ შემთხვევაში არაფერს არ აკეთებდა შრომის საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით. ამიტომ დასაქმების სამინისტრო იქნებს თუ შრომის სამინისტრო, პირველ რიგში, შრომის კანონმდებლობა აქვთ დასახვეწი. უნდა მოხდეს მისი სრულყოფა. უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც შექნის ინსტიტუციურ ბაზას იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენი ადამიანია უმუშევარი, როგორ უნდა მოხდეს მისი სახელმწიფო მხარდაჭერა, როგორ უნდა მოხდეს მისი სახელმწიფო გადამზადება, შეთავაზება ახალი სამსახურების – ეს ყველაფერი გასაკეთებელია. სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა გამოცდილება აქვს. ცალკე იქნება ეს სამინისტრო, თუ რომელიმე უწყება შეითავსებს ამ ფუნქციას, ეს საბოლოო ჯამში მაინც სახელმწიფოს გასაკეთებელია. ამიტომ მე არაფერს ექსტრაორდინალურს და საქილიკოს იმაში, რომ დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა, ვერ ვხედავ. თუმცა, იმავდროულად, არ მესმის ამის

შექმნა და ჯანდაცვის სამინისტროსათვის “შრომის” სახელის შენარჩუნება. ეხლახან ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების თანახმად უმუშევართა აღწერისათვის შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 6 მლნ ლარი გამოეყო. გაუგებარია, თუ კი არსებობს დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, რატომ არ მიეცა ეს თანხა მის აპარატს. გამოდის, რომ ერთი და იმავე საკითხე ორი სამინისტრო გვქონია!

შორენა კოწოწაშვილი